სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

05 მაისი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/93

ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე ,,ბუღალტრული აღრიცხვა" (მე-5 დონე) და ,,საექთნო განათლება (მე-5 დონე) სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანისათვის გარე მობილობის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N98/ნ ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 05 მაისის №481359 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე **,,ბუღალტრული აღრიცხვა"** (მე-5 დონე) და **,,საექთნო განათლება"** (მე-5 დონე) სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში პროფესიულ სტუდენტთა გადმოყვანის **(გარე მობილობის)** მიზნით ვაკანტურ ადგილებზე **გამოცხადდეს მიღება,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. ბსუ-ში გარე მობილობის მსურველებმა **2025 წლის 13 მაისიდან 16 მაისის ჩათვლით, 10:00-დან 18:00 საათამდე** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაციაში (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, VI კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №306) **წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

   ა) განცხადება (თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულქმედუნარიანია, განცხადება უნდა წარმოადგინოს მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა);

   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ქმედუუნარო/ შეზღუდულქმედუნარიანი პირის შემთხვევაში ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობა და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის დაბადების მოწმობა ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განცხადების წარმოდგენაზე და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილებას);

გ) შესაბამისი დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული **ცნობა სტუდენტის სტატუსის** და **მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების** შესახებ (გავლილი სასწავლო კურსების/მოდულების დამოწმებული სია).

3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს გარე მობილობის მსურველთა დოკუმენტაციის მიღება, ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები") განსათავსებელი განცხადების ტექსტის მომზადება და გარე მობილობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,სამართლებრივი აქტები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'').
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე

„ბსუ-ს პროფესიულ პროგრამებზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5 დონე) და „საქართველო განათლება (მე-5 დონე) სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანისათვის გარე მობილობის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 05 მაისი № 01-02/93 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5 დონე) და „საქართველო განათლება (მე-5 დონე)“, რომლებზეც გამოცხადდა გარე მობილობა

	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წელი (ჩარიცხული სტუდენტები), რომელზეც გააგრძელებს სწავლას, გარე მობილობის შედეგად ჩარიცხული პირები	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით		ვაკანტური ადგილების რაოდენობა
			ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	
1	ბუღალტრული აღღიცხვა (V დონე)	2024 წლის საგაზაფხულო მიღება	99	129	22	27	5 (ქართულენოვანი)
2	საქართველო განათლება (V დონე)	2024 წლის საგაზაფხულო მიღება	180	210	31	37	3 (ქართულენოვანი)
3	საქართველო განათლება (V დონე)	2024 წლის საშემოდგომო მიღება	180	210	31	37	3 (ქართულენოვანი)
	სულ:						11